სატენდერო განაცხადი

ტენდერის აღწერილობა	ქ.თბილისში, ე.ამაშუკელის 17 ნომერში მდემარე შპს ,,სმარტსოფტი“-ს საკუთრებაში არსებული ფართის - ჯამურად 1600 $მ^2$ (ოფისი, სადარბაზო, საპარკინგე სივრცე) დალაგება-დასუფთავების მომსახურების შესყიდვა.
კონკრეტული დავალება	,,მიმწოდებლის“ მიერ გასაწევი მომსახურების დეტალური ტექნიკური დავალება იხილეთ სატენდერო განაცხადს თანდართულ ,,დანართ N1“-ში.
მოთხოვნები პრეტენდენტების მიმართ	• პრეტენდენტ კომპანიას უნდა გააჩნდეს აღნიშნულ სფეროში მოღვაწეობის არანაკლებ 2 წლიანი გამოცდილება, რისი დამადასტურებელი დოკუმენტაცია (ხელშეკრულება /მიღება-ჩაბარების აქტი/ სახ. შესყიდვების SPA ნომერი ან სხვა) წარმოდგენილი უნდა იყოს სატენდერო წინადადებასთან ერთად; • პრეტენდენტმა კომპანიამ სატენდერო წინადადებით უნდა წარმოადგინოს კომერციული წინადადება ყველა ხარჯის ჩათვლით., თითოეული ხარჯის ცალ-ცალკე გაწერით.
ხელშეკრულების ვადები	1 წელი
საკონტაქტო პირი	სოფიო ბასილაძე 598904466

დანართი 1
ტექნიკური დავალება

- ✓ ობიექტზე მომუშავე თანამშრომლების რაოდენობა - 7 ქლინერი;
- ✓ სამუშაო საათები :
  4 ქლინერი დილის 7:00 საათიდან - 10: 00 საათამდე, შაბათ-კვირის გარდა;
  3 ქლინერი 10:00 საათიდან საღამოს 19:00 საათამდე, შაბათ-კვირის გარდა;
- ✓ ობიექტზე მიმაგრებული უნდა იყოს ,,მიმწოდებლის“ პროფესიონალი მენეჯერი, რომელიც პერიოდულად (მინიმუმ 2 კვირაში ერთხელ) სისტემატურ რეჟიმში განახორციელებს ხარისხის კონტროლს;
- ✓ მიმწოდებელმა ყოველთვიურად უნდა უზრუნველყოს ობიექტის მომარაგება სამეურნეო მასალა/ ინვენტარით (თვის მარაგის შევსება), რაც საჭიროა თვის მანძილზე სამუშაო პროცესისათვის;
- ✓ მიმწოდებელმა 2 თვეში ერთხელ უნდა უზრუნველყოს შენობის მთლიან პერიმეტრზე გენერალური დასუფთავების ჩატარება (აღნიშნული სამუშაოს გრაფიკი წინასწარ უნდა შეთანხმდეს ადმინისტრაციასთან);
- ✓ ოფისის მთლიანი პერიმეტრის დასუფთავება - ყოველდღიურად;
- ✓ ნაგავის გატანა ურნებამდე - ყოველდღიურად;
- ✓ იატაკების მოწესრიგება/დასუფთავება (როგორც ხალიჩის საფარი, ასევე ხის და ქვის საფარი) - ყოველდღიურად;
- ✓ დაბინძურებული კედლების მოწესრიგება/წმენდა - კვირაში ერთჯერ;
- ✓ კიბის უჯრედების მოწესრიგება/დასუფთავება - ყოველდღიურად;
- ✓ ავეჯის და საოფისე ინვენტარის მოწესრიგება/დასუფთავება - ყოველდღიურად;

- ✓ ნაგვის პარკების შეცვლა - ყოველდღიურად;
- ✓ აივნებზე და ტერასებზე სისუფთავის კონტროლი - ყოველდღიურად;
- ✓ სამზარეულოს, მაცივრის, მაგიდების და სხვა ინვენტარის დასუფთავება და მუდმივი სისუფთავის კონტროლი - ყოველდღიურად;
- ✓ საპირფარეშოების მოწესრიგება/დასუფთავება - ყოველდღიურად;
- ✓ საპირფარეშოებში ჰიგიენური საშუალებების კონტროლი, დისპენსერების შევსება ჰიგიენური საშუალებებთ - ყოველდღიურად;
- ✓ ფასადზე არსებული ვიტრაჟების (მაღალი სიმაღლეების გარდა) და ლიფტის სარკეების წმენდა - კვირაში ერთხელ;
- ✓ ობიექტზე მომუშავე პერსონალი აღჭურვილნი უნდა იყვნენ მიმწოდებელი კომპანიის ბრენდირებული „უნიფორმები“-თ, რომლის ფორმა და დიზაინი შეთანხმებული უნდა იყოს შპს ,,სმარტსოფტი“-ს ადმინისტრაციასთან;
- ✓ ობიექტზე მომუშავე პერსონალი აღჭურვილნი უნდა იყვნენ უახლესი და თანამედროვე ტიპის სამეურნეო ინვენტარით (იგულისხმება - ,,მოპები“, ,,შვაბრები“, ობობის ქსელის ჯოხები და ასე შემდეგ).